

მესტიის მუნიციპალიტეტი



დოლის ღელეზე ბეტონის არხის სამუშაოების პირველი ეტაპის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
(CPV71320000)

სატენდერო დოკუმენტაცია

მესტია
2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური და სხვა მოთხოვნები:

2.1.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

საწყისი ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის

პროექტანტმა უნდა განახორციელოს წინასწარი შესწავლა და შეაგროვოს ის მინიმალური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. პროექტანტი ასევე მოიპოვებს და წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას მიწის მფლობელობის და ზემოქმედების მასშტაბის წინასწარი შეფასებისათვის. წინასწარი შესწავლის ეტაპზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის მოკლე კონცეპტუალური აღწერა;
 - პროექტის განხორციელების ადგილი ტოპოგრაფიულ რუკაზე და სიტუაციური გეგმა;
 - წინასწარი ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია (რელიეფის, ქანების, ნიადაგის აღწერა არსებული საარქივო მონაცემების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად; ინფორმაცია უნდა იძლეოდეს დასკვნას სახიფათო გეოლოგიური პროცესების არსებობის ან ალბათობის შესახებ, აფეთქებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობის შესახებ; გრუნტის წყლების განლაგების სიღრმის შესახებ და ა.შ.);
 - სიახლოვე მდინარესთან ან ზედაპირული წყლების სხვა ობიექტებთან (ტბები; არხები და ა.შ.);
 - გულისხმობს თუ არა პროექტი ტყის გაჩეხვას ან სხვა სახის მცენარეული საფარისაგან გაწმენდას;
 - მიწის მფლობელობის და მიწათსარგებლობის საკითხები;
 - საკადასტრო მონაცემები პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე;
 - ინფორმაცია იმის შესახებ, ახდენს თუ არა პროექტი ზემოქმედებას კერძო საკუთრებაში მყოფ ან არენდით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (დროებითი შემფოთება, ნაკვეთის ნაწილის ან მთლიანად ნაკვეთის დაკარგვა მფლობელის მიერ, ნაკვეთზე არსებული ქონების დაკარგვა, შემოსავლის დაკარგვა და ა.შ.)
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა
 - ღვარცობსაწინააღმდეგო ღონისძიებების ვარიანტების დამუშავება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.
 - დეტალური პროექტის შედგენა.
 - სამუშაოთა მოცულობები და ხარჯთაღრიცხვა.

პროექტის შედგენის დროს გასათვალისწინებელი საკითხებია:

1. არსებული გრუნტის დამუშავება
2. რკინა ბეტონის არხის მოწყობა
3. არხზე გადასასვლელების მოწყობა

2.1.2 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით .

2.1.4 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე

3. მომსახურების გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს : 19 000 (ცხრამეტიათასი) ლარს. ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

3.2 დაფინანსების წყარო : 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. ტექნიკური დოკუმენტაცია

4.1 რეკვიზიტები, დანართი №2-ის მიხედვით.

4.2 ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი ტექნიკური პირობების (დანართი 1-ის მიხედვით) შესაბამისად;

4.3 შესყიდვაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც ბოლო 3 წლის მანძილზე ჩატარებული აქვს ანალოგიური სირთულის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროექტირების საერთო ღირებულება ერთი წლის მანძილზე უნდა შეადგენდეს მინიმუმ 40 000 ლარს. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები.

5. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა:

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

5.1 სატენდერო წინადადების ფასი:

5.2 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

6. ანგარიშსწორების პირობები:

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

6.3 დაფინანსების წყარო: 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

7. დამატებითი ინფორმაცია:

7.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. დ.მესტია სეტის მოედანი #1. საკონტაქტო პირი:

მარიამ ნაკანი - ტელ.599 85 55 58,

ბექა მერლანი ტელ: 595 08 95 05

ელ. ფოსტა: nakanimari@gmail.com

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

2016 წ

ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გამგებლის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით და მეორეს მხრივ -----, დირექტორის ----- სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და ელექტრონული ტენდერის შედეგის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1, „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2, „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.4, „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 მესტიის მუნიციპალიტეტში დოლის დელეზე ბეტონის არხის სამუშაოების პირველი ეტაპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- 2.2 კლასიფიკატორის კოდი: (71320000);
2. 3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია, SPA----- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება -ჩაბარების აქტზე შემსყიდველის

მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება: დ.მესტია, სეტის მოედანი #1

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 კალენდარული დღის ვადაში**.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების

ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით .

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. ხელშეკრულების პირობები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი **ელექტრონული ვარიანტი**. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

9.3 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 %, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის

შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების

საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს -----.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:

მესტიის მუნიციპალიტეტი
მის: დ.მესტია სეტის მოედანი №1
ს/ს „ლიბერთი ბანკის“ მესტიის ფილიალი
ბ/კოდი: RT002
ა/ა №670120123697265000
ს/კოდი: 235895046

ბ. ა.

მიმწოდებელი:

ბ. ა.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ბანკის დასახელება:

ბანგარიშის ნომერი:

#	პროექტის დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	შენიშვნა
1	დოლის ღელეზე ბეტონის არხის სამუშაოების პირველი ეტაპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;	812 000 ლარი		

ხელმოწერა _____ ბ.ა.